

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი

ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №03/131

ქ. ბათუმი, 03 თებერვალი 2014 წ

**„ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის №1-1/1254 ბრძანების, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილების, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებისა და „ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32. 12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 06 იანვრის №02/05 ბრძანების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, თანახმად დანართისა.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების საფუძველზე ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება და დასამტკიცებლად წარმოდგენა დაევალოს „ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) მესაკუთრეს - იურიდიულ პირს შპს „ორბი ჯგუფს“.
3. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) მესაკუთრეს - იურიდიულ პირს შპს „ორბი ჯგუფს“.

4. წინამდებარე ბრძანება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტ გვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ.ბათუმის მერია.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი